ორი ქულა აქტივში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 6 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) - ცსკა 2:1 (1:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე (ხიზანიშვილი), დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჩელებაძე), კაკილაშვილი, შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, ბუკიევსკი, შვეცოვი, ხიდიატულინი, დროზდოვი (ბულგაკოვი), მოროზოვი, ჩესნოკოვი, დულიკი, ტარხანოვი, კოლიადკო (გლუშკოვი), დუბინინი.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

მატჩს დაესწრო 42.000 მაყურებელი.

ტრადიციულად, ლიდერის წინააღმდეგ ყველა გაორკეცებული ენერგიით იბრძვის. მას შემდეგ, რაც თბილისის დინამოელებმა საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი ესოდენ დიდ სიმაღლეზე აიყვანეს, მათთან მიღწეული ფრე, რომ არაფერი ვთქვათ მოგებაზე, ყველა გუნდისთვის სანუკვარი გახდა. ამ მიზნისთვის თავდადებით იბრძვიან თბილისელთა მეტოქენი და არც თუ იშვიათად აღწევენ კიდეც საწადელს...

ასე ითამაშეს ოდესელებმა, კიეველებმა, ტორპედოელებმა, გუშინ კი მოსკოვის არმიელებმაც.

...23-ე წუთზე გუცაევი სწრაფად გაიჭრა წინ და მასთან ბრძოლაში დულიკმა აშკარად დაარღვია წესი. პენალტი. შენგელიამ ზუსტად დაარტყა - 1:0.

მიმდინარეობდა 74-ე წუთი, როცა არმიელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს, წამით ღიად დარჩა დუბინინი და საკმაოდ შორი მანძილიდან დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა - 1:1.

83-ე წუთზე, საუკეთესოდ ითამაშა ჩელებაძემ. მან კარგად შეარჩია მომენტი, ზუსტად და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში - 2:1. თბილისის "დინამომ" თავის აქტივს 2 ქულა მიუმატა.

მატჩის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ სპორტის დამსახურებულ ოსტატს სერგო შუდრას:

- ჩვენი გუნდი ახლა, უდავოდ, კარგ სპორტულ ფორმაშია, არა ჰყავს არც ერთი სუსტი რგოლი და, თუმცა, თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ რამდენიმე ქულა ზედიზედ დავკარგეთ, მაინც თამამად შეიძლება ითქვას - თბილისის "დინამო" ბრძოლისუნარიანია, აღსავსეა ნებისყოფით, სიმტკიცით, მაგალითად, როცა ანგარიში იყო ???აკეთეს გადამწყვეტი გოლის გასატანად და მიზანსაც მიაღწიეს.

შენიშვნა მაინც გვაქვს: გუნდი ბოლომდე ვერ იყენებს იმ მომენტებს, რომლებიც გააჩნია თამაშის მსვლელობაში. ინიციატივა გვაქვს, იერიშები მრავლადაა, გადამწყვეტი დარტყმისას კი დიდ უზუსტობას იჩენენ ისინი, რომლებიც, ჩვეულებრივ, გოლის გატანის სპეციალისტებად ითვლებიან. ჩვენმა ფეხბურთელებმა უნდა კარგად იცოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ყველა გაორკეცებული ძალით იბრძოლებს, ამიტომ არ უნდა დაკარგონ ეს კარგი სანებისყოფო თვისებები. რა თქმა უნდა, როცა მწყობრში ჩადგება ყიფიანი, გუნდს გაცილებით უფრო

გაუადვილდება კომბინაციური თამაში და შეტევის დამამთავრებელ ფაზასაც მეტი სიმწვავე ექნება.

მოსკოველთა შესახებ ის შემიძლია ვთქვა, რომ მთელი თამაშის მსვლელობაში ვერ გავარკვიე ხიდიატულინის როლი და ფუნქციები. ჩვეული ადგილი დაცვაში მან დატოვა, წინ კი ვერაფრით დაეხმარა პარტნიორებს.

რ. ქორიძე.
7 ივნისი, 1981 წ.